საქართველოს მთავრობის

დადგენილება №368

2013 წლის 24 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებულ წესში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 1533) შეტანილ იქნეს ცვლილება და 27^4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. 2014 წლის 1 სექტემბრამდე ამ მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისას.“.

მუხლი 2

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №302 დადგენილების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედება 2014 წლის 1 სექტემბრამდე არ ვრცელდება ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევაზე.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2013 წლის 29 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**